მეტაფორა წარმოადგენს აზრის ტრანსფორმირების განსაზღვრულ ხერხს, მნიშვნელობის გარდაქმნის განსაკუთრებულ საშუალებას და ამიტომაც ის გამოიყენება როგორც ოკაზიონადიზმებისა და ნეოლო-

გიზმების შექმნის საშუალება, ანუ ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ახალ რეალიებს აღნიშნავენ: *telebombardea* – მასმედიის შეტევა მაყურებელზე; *los juancarlistas*-ჯურნალისტები; *aprobar mayormente*-გონებაგამჭრიახი.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როდესაც მეტაფორული გარდაქმნით წარმოიშობა არა ახალი სიტყვა, არამედ განსხვავებული მნიშვნელობის ქვემო ნეოლითიზმი სიტყვისშიდა სემანტიკური დერივაციის შედეგად. ასეთი მეტაფორის წყაროს, როგორც წესი, წარმოადგენს მაიდენტიფიცირებელი არსებითი სახელი, რომელიც გადადის პრედიკატულ კატეგორიაში და განეკუთვნება სხვა დუნოტატს ან დენოტატთა კლასს; ასე მაგალითად, ესაანური პრესის ენაში, გაჩნდა ახალი მყარი მეტაფორა *baron* – ‘მფლობელი, მართველი’, შემოსული პერალდიკისა და სამეფო კარის ტიტულების სფეროდან, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური პარტიების ისეთ ლიდერთა ან რეგიონალური ორგანიზაციებისა და სტრუქტურების ისეთ მდივანთა ნომინაციისათვის, რომელთაც მოიხვეჭეს მნიშვნელოვანი ძალა და გავლენა. ირონიული მეტაფორა *fontanero* (სიტყვასიტყვით: ‘წყალსადენის ოსტატი’, ‘შეწყალსადენე’), პოლიტიკურ ენაზე აღნიშნავს რომელიმე პოლიტიკოსის ან სახელმწიფო მოღვაწის ჩრდილში დარჩენილ თანამებრძოლებს. შეფასებითი მეტაფორული ნომინაცია *cachorros* (‘ლეკვები’)-‘სამსახურის გარეშე დარჩენილილნი, მიტოვებულნი’, იხმარება პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ორგანიზაციების ახალგაზრდა და ამბიციური წევრების მიმართ. სახასიათო არსებითი სახელი *halcones* (სიტყვასიტყვით: ‘ქორი, შევარდნი’) – ‘ქორივით, შევარდენივით შემართულები თავისი საქმისადმი’ მყარად დამკვიდრდა მასმედიის ენაში, აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთა მეტაფორულ აღმნიშვნელად.

სტილისტიკური მეტაფორა არაიშვიათად

გამოიყენება ენობრივი კომპრესიის საშუალებად, რითაც მიიღწევა მაქსიმალური გამომხატველობა, ენობრივ საშუალებათა მინიმალური ხარჯვის გზით: *el terremoto Zapatero* – ძირის გამომთხრელი; *gobierno títere* – მარიონეტული მთავრობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება პრესის ენაში, მეტაფორული ზმნური ნომინაციების შექმნისას, მაგალითად: *ningune-near a un político* (განუსაზღვრელი ნაცვალსახელიდან *ninguno* – ‘არავითარი, არცერთი’) – ‘პოლიტიკის იგნორი’; *menospreciar, tratar sin debido respeto, sindar importancia* – უმნიშვნელო, მნიშვნელობის მიუნიჭებლობა; *tramar un problema* არსებითი სახელიდან *trampa* – ‘მახარე, ხაფანგი’ – ‘პრობლემებში გახვევა’: *complicar un asunto poniendo obstáculos innecesarios*) – უსარგებლო და დაბრკოლებებით სავსე საკითხების შეჯამება; *desgranar el plan* არსებითი სახელიდან *grano* – ‘მარცვალი, მარცვლეული’ – გეგმის ჩაშლა (დაშლა): *explicar el contenido*-პრობლემის შინაარსის ახსნა; *revelar la esencia*-‘მთავარი არსის, მიზნის გამოვლენა’; *ambicionar un asiento permanente en el Consejo de Seguridad* არსებითი სახელიდან ამბიცია – ‘ამბიცია’ – ამბიცია უშიშროების საბჭოსადმი: *tener deseos ambiciosos de hacerse miembro permanente del Consejo de Seguridad* – ამბიციური სურვილები, რათა გახდე უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი.

შეფასებითი ნომინაციების შექმნისას, რომლებიც მასმედიის ენაში ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებენ, მეტაფორა გამოიყენება სუბიექტური ასოციაციების ფორმირების ხერხად. თუ საუბარი ეხება ნეგატიურ შეფასებას, მეტაფორული გამონათქმამი იხმარება ოპონენტის დისკალიფიცირებისა ან დაცინვისათვის, ამა თუ იმ პოლიტიკური რეალიებისადმი დაძაბული ურთიერთობის გამოწვევისათვის, საფრთხის ან შფოთვის შთაგონებისათვის. თუ შეფასება პოზიტიურია, მაშინ მეტაფორა გამოიყენება კომპრესიის საშუალებად, რითაც მიიღწევა მაქსიმალური გამომხატველობა, ენობრივ საშუალებათა მინიმალური ხარჯვის გზით:

ნება როგორც მხარდამჭერი საშუალება ავტორის ან იმ პოლიტიკური ჯგუფის იდენტისა, რომლის ინტერესებსაც გამოხატავს ურნალისტი.

არაიშვიათად, პრესის ქაში, ერთიდაი-გვე მეტაფორული რესურსები ემსახურებიან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტაციების გადმოცემას; მაგალითად, თუ საქმე ეხება ევროპავშირს, მაშინ ესპანურ პრესაში გამოიყენება ისეთი მეტაფორული ხატები, როგორიცაა: *coloso europeo*-ევროპა, როგორც გიგანტი; *gigante de dimensiones titánicas*-ტიტანური ზომების მიღება; *gigante económico*-ეკონომიური გიგანტი; *imperio de la ley*-საკანონმდებლო იმპერია.

ეს ხელს უწყობს რწმენის, გულდაჯერებულობის, სტაბილურობისა და სანდობის შეგრძენების შექმნას, რადგან იწვევს ასოციაციებს მითოლოგიურ გმირთან – გიგანტთან, კოლოსთან, რომელიც სიკეთეს ქმნიდა და უბედურებას წინ ედობებოდა; ხოლო, თუ საუბარია ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც, ბოლო ხანებში, ცდოლობს განამტკიცოს თავისი თავის წარმოდგენა ძლევამოსილ სახელმწიფოდ, აყენებს რა საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს საერთაშორისო სამართლის ნორმების ზემოთ, იგივე მეტაფორული ასოციაციები შთამაგრნებელნი არიან სიფხიზლისა და შიშისა ერთი სახელმწიფოს ძლიერების მიმართ, რადგან ეს შეიძლება უბედურებად იქცეს კაცობრიობისათვის:

*gigante norteamericano* - ჩრდილოამერიკული გიგანტი; *imperio político con su emperador* - იმპერატორის პოლიტიკური იმპერია; *fortaleza estadounidense*; *el todopoderoso presidente de EE UU*-აშშ-ს ყოვლისშემძლე მმართველი.

მასმედიის ქაში აქტიურად ფუნქციონირებს ისეთი მეტაფორები, რომლებიც განაზოგადებენ სამყაროს ნაციონალურ-სპეციფიკურ ხედვას, დამკვიდრებულს ესპანურ კულტურაში. ერთ-ერთი ასეთი მეტაფორაა საზოგადოების, მისი პოლიტი-

კური ინსტიტუტების ასოციაცია **სახლთან**, რომელსაც აშენებს ადამიანი. ესპანურ პრესაში, სახლს, ყველაზე ხშირად, ამსგავსებენ არცოუ ისე დიდი ხნის წინ გაჩენილ, ახალ პოლიტიკურ რეალიას – ევროპულ კავშირს: *la construcción europea*-ევროპული წყობა; *construir la gran casa común*-დიდი საერთო სახლის მშენებლობა; *sentar las bases de la casa comunitaria*-საზოგადოებრივი, საკომუნიკაციო დაწესებულებების შექმნა; *el cobijo comunitario*საზოგადოებრივი თავშესაფრების შექმნა; *las murallas de la fortaleza de la Unión Europea*-ევროპავშირის მყარი საზღვრები (ციხის კედლები). ასეთივე ტიპის მეტაფორაა კონცეპტი **სახლი**, რომელიც ასოცირდება გარკვეულ ნაოესაგურ კავშირებთან: *nuevos miembros de la gran familia europea*-ევროპის დიდი ოჯახის ახალი წევრები; *aumentar la familia comunitaria*-საზოგადოების ზრდა; *no querer ser primos pobres en la familia europea*-ევროპულ ოჯახში დარიბი ქვეყნების გაერთიანების სურვილის არქონა; *aparecer en la foto de family*. ევროპული ოჯახის რუკაზე თავის აღმოჩენა.

პრაგმატიკული ეფექტურობის გამო, მეტაფორა ვერბალური სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, რომელსაც წარმატებით იყენებენ პოლიტიკოსები და ურნალისტები. სწორედ მეტაფორაა იმ ლექსიკის წარო, რომელიც ემსახურება არანივთიერ სამყაროს – იდებს, მოვლენებს, პროცესებს, აბსტრაქტულ ცნებებს. პრესის ქაში მეტაფორა ხვდება საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერი სფეროდან. ესპანურ მასმედიაში ყველაზე ხშირად გვხვდება:

1) მეტაფორები კულტურის სფეროდან, რომელთაც გააჩნიათ ბიბლიური, მითოლოგიური, ლიტერატურული წყაროები: *los socialistas salen de su amarga travesía del desierto* – სოციალისტების უშედეგო ბრძოლა; *ser un invitado de piedra en el reparto de los proyectos de reconstrucción* – რეკონსტრუქციის დროს არასასურველი პარტნიორი; *pasar el rubicón electoral* – საარჩევნო ფერხულის, ანუ

რუბიკონის გავლა; el tema era uno de los nudos gordianos de ese período-ამ პერიოდისთვის მიუღებელი საკითხები; la propuesta ha sacudido los pilares de la política internacional –წინადადება, რომელმაც შეძრა საურთაშორისო პოლიტიკის საფუძვლები და სხვ.

2) მეტაფორები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერების სხვადასხვა დარგს (გეოგრაფიას, ფიზიკას, ასტრონომიას, ქიმიას და ა. შ.): **su actividad generó unos agujeros negros en el presupuesto de la empresa**-კომპანიის ბიუჯეტის მკვეთრი გაუარესება შავი ძალების მიერ; **las iniciativas recibieron nuevos impulsos**-ახალი ინიციატივები ძლიერი იმპულსურობით ხასიათდება; **el gobierno ha cambiado las coordenadas dibujadas por su líder** –მთავრობა შეცვლას უპირებს კოორდინატორებს, რომლებიც მათ ლიდერს ექვემდებარებიან და სხვ.

3) მეტაფორები, რომლებიც ეხება მედიცინის, ჯანმრთელობის სფეროს: **la salud financiera del ente público**-ჯანსაღი ფინანსები აისახება საზოგადოებაზე; **era una herida en el corazón del país**-ეს ჭრილობა აისახება სახელმწიფოს გულის ფეთქვაზე; **gobernar sin muletas de ningún tipo**-სახელმწიფოს საყრდენი (ყავარჯენი) გამოეცალა; **evitar las diferencias crónicas**-ქრონიკული განმასხვავებლების ოვადან აცილება ; **la cirugía de hierro para los casos de corrupción**- კორუფციის წინააღმდეგ ქირურგიული ჩარევა (რკინის ოპერაცია); **la patología inevitable de la corrupción** –კორუფცია გარდაუგალია და სხვ.

4) ეგრეთ წოდებული სამხედრო მეტაფორები: **crear el pelotón de cabeza al que se van sumando los demás estados** - სხვა სახელმწიფოებისგან შემომავალი მოწინავე ჯგუფები; **dinamitar los acuerdos entre ambas fuerzas** - ორ ძალას შორის ურთიერთქიში; **cerrar filas en torno a EE UU para hacer frente a la oposición pública mayoritaria** - აშშ-ს სახელმწიფოს წინააღმდეგ ოპოზიციურ რიგებში დგომა; **la derrota electoral** - არჩევნებში დამარცხება; **el**

**ataque político** - პოლიტიკური შერკინება; **la primera prueba de fuego de su talante político** - პირველი ცდა პოლიტიკურ ასპარეზზე; **en el cuartel general de John Kerry calibran todas las opciones** - ჯონ კერიმ ძირითად შტატებში პოზიციები გაიმაგრა და სხვ.

5) საზღვაო მეტაფორები: **el timón del Estado**-შტატის მართვის სადავეები ; **el líder perdió la brújula** - მმართველმა დაკარგა სადავეები (მიმართულების არევა); **las iniciativas llegan a buen puerto** - ინიციატივები კარგი დასასრულისებ მიდის; **se requiere un programa detallado y concreto para que el velero siga navegando** –მზადება კონკრეტული პროგრამები ქვეყნის სწორი მმართველობისათვის (გემს ეძლევა სწორი მიმართულება დიდ ნავიგაციაში) და სხვ.

6) სპორტული მეტაფორები: **la carrera electoral** – საარჩევნო კარიერა; **recta final del maratón electoral** – საარჩევნო მარათონის დასასრულისათვის ბრძოლა; **cultura de pelotazo (enriquecimiento fácil y rápido)** (რინგზე ბრძოლის კულტურა; Bush კარიერის მიერ მმართველობა უფსკრულისებ მიექანება და სხვ.

7) მეტაფორები ყოფითი ცხოვრებიდან: **no dejar en saco roto otras reclamaciones**-ყურადაში იღო პრეტენზიები; **los países hispanohablantes tendrán que pagar los peajes**-ესპანურენოვანი ქვეყნები დახმარებას ითხოვენ; **llevar una buena tajada del reparto**-კარგი შედეგის მოტანა; **las medidas han caído como un jarro de agua fría**-ყველა გატარებული ღონისძიება წყალში გადაყრილია; **el estado se aprieta el cinturón**-სახელმწიფოს უწევს ქამრის მოჭერა; **la voluntad popular no es una moneda de cambio**-პრობლემის მოვარება არ ნიშნავს ბოლომდე წარმატებას; **la oposición no es una olla de grillos** – ოპოზიცია არ არის ხელწამოსაკრავი და სხვ.

8) პრაგმატიკულ და რიტორიკულ ფუნქციებთან ერთად, მეტაფორა შიდაენობრივ სემანტიკურ ფუნქციებსაც ასრულდებს. კე-

რძოდ, ნომინაციური მეტაფორა, ემსახურება რა იდენტიფიკაციას, ომონიმის წყაროსაც წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მეტაფორიზაციის პროცესი გულისხმობს დესკრიფტული მნიშვნელობის გადატანას, საგანთა მსგავსების საფუძველზე, რაიმე გარეგნული ნიშნით, ან ფუნქციის მიხედვით. ამ ხერხით მიუთითებენ სინამდვილის ობიექტზე: *el ala sur del palacio presidencial*-საპრეზიდენტო სამხრეთის ფრთის წარმომადგენელი; *los líderes pusieron sus firmas al pie del documento*-თავიანთ ფირმებს უველანაირი დოკუმენტური და საკანონმდებლო სისტემით განიხილავენ; *las creencias políticas* –პოლიტიკური ციებ-ცხელება და სხვ.

9) **ხატოვანი მეტაფორა,** რომელიც წარმოიშობა დესკრიფტიული სემანტიკის გადასვლისას პრედიკატიულში, განაპირობებს გადატანითი მნიშვნელობების განვითარებას და წარმოადგენს **სინონიმის** წყაროს, როგორც ოკაზიონალურის, ასევე საკუთრივ ენობრივისაც; მაგალითად, *la Carta Magna* კონსტიტუცია – მაგიური რუკა; *la piel de toro* ესპანეთი; *el medallón rojo* მზე – წითელი მედალიონი; *laser-piante multicolor* ველოსიპედისტთა ჯაჭვის შესახებ – ფერადი მსახური.

**კოგნიტიური მეტაფორა,** რომელიც ჩნდება პრედიკატული ლექსიკის შეთავსების ცვლილებათა შედეგად, ქნის პოლისემიას. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, დესკრიფტიულ ზედსართავებსა და ზმნებს, პრაქტიკულად, მეორად პრედიკატთა მთელი სფერო მრავალმნიშვნელობიანი ლექსემებისაგან შედგება: *un alto cargo*-კარგი მმართველი; *un problema agudo*-გადაუჭრელი პრობლემა; *una profunda crisis gubernamental*-სამთავრობო კრიზისი; *desvanecerse las últimas esperanzas*-ბოლო გაბრძოლება; *aferrarse a la comodidad institucional*-ინსტიტუციური სამსახურების კარჩაკეტილობა ; *remover la vida política*-პოლიტიკური ცხოვრების შემობრუნება.

## დასკვნა

მეტაფორა ხელს უწყობს მირითადი პრაგმატული და კომუნიკაციური მიზანდასახულობის რეალიზაციას, ასევე წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც სუბიექტური აქცენტი კეთდება ინფორმაციაზე, ან ინფორმაციის კომენტარებზე. მეტაფორა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ რიგ ეკვემიზმებს, ნეოლიგიზმებს, ელიფსურ და ხატოვან ნომინაციებს, აპელირებს შეტყობინების ადრესატის წარმოსახვასა და ინტუიციაზე, იზიდავს რა მას ფარულ საუბარში მონაწილეობისათვის. მეტაფორა ასრულებს მაიდენტიფიცირებელ, ატრიბუტულ, შემფასებლურ ფუნქციებს. იგი წარმოშობს ანალოგიებს მთლიან სიტუაციებსა და ლოგიკურ კატეგორიებს შორის.

## ლიტერატურა

1. Agusti Pons (2009): Metáfora. Madrid
2. Jakoff George, Mark Johnson (1995): Metáforas de la vida cotidiana. Madrid
3. Mariana di Stefano (2006): Metáforas en uso. Buenos Aires

## Metaphor in the Spanish Mass-Media

Nana Durmishidze  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: 595 504 040  
E-mail: nanuzura14@yahoo.com

Tsiuri Akhvlediani  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

## **Abstract**

Systematizing and processing data of sociology, histories, philosophies, aesthetics, semeiology, linguistics, press as the social institute, who's functioning is determined by social and political situation and it is the part of the culture by itself, also creative consciousness, which is characterize the specific historical epoch.

Generalizing the role of metaphor in the language of mass-media, it is important to emphasize that contributing to the realization of basic pragmatic and communicative installations, metaphor is one of the methods, which make it possible to accentuate information or commentary and to transmit subjective relation to the theme stated. The metaphor, which lies at the basis of a number of euphemisms, neologisms, elliptical and descriptive nominations, appeals to imagination and intuition of the addressee of communication, assigning him on the participation in the concealed conversation. Metaphor fulfills the identifying function in being converted into the lingual nomination for any denotation and the group of denotations or denotations situation. The characteristic function connects metaphor with the predication and makes it possible to insert positions attributive and estimated values into the nominal. Metaphor generates the analogies between the entire situations and the logical categories and determines the method of thinking about the peace.

## **Keywords:**

press language, mass-media, metaphor, euphemisms, neologisms.

## **Метафора в испанской масс-медиа**

*Дурмшиидзе Нана Нугзаровна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 595 504 040  
E-mail: nanuzura14@yahoo.com*

*Ахвlediani Циури Александровна*

*Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

## **Резюме**

Систематизируя и обрабатывая данные социологии, истории, философии, эстетики, семиологии, лингвистики, прессы как социальный институт, функционирование которого определяется общественно-политической ситуацией, сама является частью культуры, творческого сознания, характерного для конкретной исторической эпохи.

Обобщая роль метафоры в языке масс-медиа, представляется важным подчеркнуть, что, способствуя реализации основных прагматических и коммуникативных установок, метафора является одним из приёмов, позволяющих акцентировать информацию или комментарий и передать субъективное отношение к излагаемой теме. Метафора, лежащая в основе ряда эвфемизмов, неологизмов, эллиптических и образных номинаций, аппелирует к воображению и интуиции адресата сообщения, привлекая его к участию в скрытой беседе. Метафора выполняет идентифицирующую функцию, превращаясь в языковую номинацию для какого-либо денотата, группы денотатов или денотативной ситуации. Характеризующая функция связывает метафору с предикацией и позволяет вносить в именные позиции атрибутивные и оценочные значения. Метафора порождает аналогии между целыми ситуациями и логическими категориями, определяя тем самым способ мышления о мире.

## **Ключевые слова:**

Язык прессы, масс-медиа, метафора, эвфемизмы, неологизмы.

## დისკურსის კოგნიტური მახასიათებლები

ნათია კვარაცხელია  
საქართველოს უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა  
გ. კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო  
ტელ: 599 249 895  
E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com

### რეზიუმე

დისკურსის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მისი აუცილებელი ვერბალუზაცია. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დისკურსის მონაწილეთა ინტერაქციული ქმედების სპეციფიკა. კერძოდ კი იმ მექანიზმებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკანტების ერთმანეთზე ზემოქმედებას; ასევე დისკურსის არგუმენტაციის სტრატეგია, რომელსაც ხშირად მიმართავენ კომუნიკანტები ურთიერთობისას, რაც აგრეთვე შეადგენს დისკურსის არგუმენტაციის შესწავლის ლინგვო-კოგნიტურ ასპექტს.

დისკურსის კოგნიტური მექანიზმების ფუნქციონირება უზრუნველყოფს რეციპიენტის სიტუაციურ მოდელზე ზემოქმედებას და დადებით პრაგმატულ ეფექტს, ანუ დაგეგმილი შედეგების მიღწევას, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნიკაციური პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

### საკვანძო სიტყვები:

დისკურსი, კოგნიტური, არგუმენტაცია, კომუნიკაცია, კომუნიკანტი, ინფორმაცია.

### შესავალი

დისკურსის კოგნიტური საფუძლების გამოვლენა გულისხმობს დისკურსიული ინფორმაციის დამუშავების პროცესის დეტალურ განხილვას, რომელიც მოიცავს ინფერენციას, გაგებასა და ინტერპრეტაციას.

კომუნიკაციის პროცესში ადრესატი იძულებულია წინასწარ გათვალის, თუ როგორი დასკვნები შეიძლება გააკეთოს რეციპიენტმა ნათქვამის შედეგად. წამყვან ფაქტორად, რომელზეც დამოკიდებულია ინფერენციის პროცესის შედეგი, ითვლება ურთიერთობის მომენტისთვის ადრესატის მიერ დაგროვილი ცოდნა. სხვა კოგნიტურ საფუძვლებად ითვლებიან ზედაპირული ცოდნა და ეგრეთ წოდებული რეციპიენტის ინფერენციული შესაძლებლობები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადრესატს „პადრს მიღმა დატოვოს“ ზოგიერთი ინფორმაცია [Fiedler, Horacek. 2002]. ინფორმაციის დამუშავების მსვლელობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპონტანური დედუქციური დასკვნა [Vidick. 1990; Wilson; Sperber. 1986], რომელიც შეიძლება განიხილებოდეს როგორც ინფერენციის პროცესის საბაზო მექანიზმი. ამასთან ერთად, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ინფერენციის პროცესი რეციპიენტის მიერ არ არის გათვითცნობიერებული და ხორციელდება ინტუიციურად.

### ძირითადი ნაწილი

კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, დისკურსის ტექსტის გაგება მდგომარეობს კოგნიტური სიტუაციური მოდელის შექმნაში, რომელშიც ხდება არა თვით ტექსტის, არამედ რეფერენციური სიტუაციის რეპრეზენტირება, რომელმაც ასახვა ჰქონა ტექსტში.

ითვლება, რომ გამოთქმის გაგება გულისხმობს მოტივაციის გაგებას, რომელიც იმალება მოსაუბრის არჩევანის უკან. მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს დისკურსის გაგებას, წარმოადგენს მასში კოპერატული ურთიერთობების არსებობას.

ინტერპრეტაცია როგორც კოგნიტური პროცესი გულისხმობს: ცოდნის, დისკურსის კონცეპტუალური რეპრეზენტაციის მიწოდებას, რასაც ფლობს ინტერპრეტატორი გარემო პირობების შესახებ, ასევე – მის წინა გამოცდილებას, რომელიც გამოიხატა სხვა დისკურსების რეპრეზენტაციის დროს, ეს მთლიანობაში შეადგენს მასალას – სიტუაციური მოდელების შესაქმნელად, რომელიც ამასთანავე ინახება ეპიზოდურ მეხსიერებაში, შეიცავს ზედაპირულ, ირიბ ცოდნას და რეფერენციალურ ბაზას – აუცილებელ ფაქტორს ინტერპრეტაციის პროცესისათვის. ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის არ არის საკმარისი გამოთქმის სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურის გაგება. ინტერპრეტაცია ბევრად არის დამოკიდებული კონტექსტებს, რომლის გარემოცვაშიც იმყოფება გამოთქმა. ამასთან მხედველობაში მიიღება როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური კონტექსტი.

ინფერენცია, გაგება და ინტერპრეტაცია წარმოადგენს მჭიდროდ დაკაგშირებული და ურთიერთდამოკიდებული პროცესების კომპლექსს, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და წარმოადგენს დისკურსიული/ტექსტური ინფორმაციის დამუშავების ერთიან პროცესს.

დისკურსის დაგეგმვა ითვალისწინებს მოსაუბრის მიერ რიტორიკული ცოდნის ფლობას იმისთვის, რომ მოახდინოს თანამოსაუბრებელ დაგეგმილი ზემოქმედება. ეს არის ზემოქმედების მექანიზმების ცოდნა, რომელიც ბევრ სხვა ასპექტთან ერთად გულისხმობს ცოდნას – თუ როგორ შეუძლია დისკურსის სტრუქტურას მოახდინოს გავლენა ადრესატის დარწმუნების, სურვილებისა და განზრახვების სისტემაზე.

თანამედროვე კოგნიტური კვლევები უკავშირებენ ინფერენციის და გაგების პროცესების წარმატებულობას ტექსტის ან დისკურსის სტრუქტურული ორგანიზაციის თავისებურებებს, რაც განაპირობებს

დისკურსის სტრუქტურის შესწავლის სფეროში ძირითადი მიმართულებების უფრო დაწვრილებით განხილვის აუცილებლობას და დისკურსიული მოდელების შექმნას. ამ თეორიების მთავარ ასპექტებს, რომლებიც გარკვეული იდად გახდნენ საწყისი წერტილი დისკურსისა და ინფერენციის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შემდგომი კვლევისა, წარმოადგენენ ისეთი საკითხები, როგორიცაა: დისკურსის კლგმენტარული ერთეულები და მათ შორის ურთიერთობების ტიპები; დისკურსი როგორც რთული სტრუქტურული მთელი და მისი შემადგენლები; დისკურსის ჩარჩოებში სტრუქტურების ურთიერთქმედება ითვალისწინებს აგრეთვე დისკურსის სტრუქტურის კვლევას, როგორც სინტაგმატიკური, ასევე პრაგმატიკული კუთხით.

დისკურსი წარმოადგენს რთულ წარმონაქმნს, რომელიც წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებული სტრუქტურების შეწყიმით, სადაც ყოველი მათგანი მისთვის მახასიათებელი იმ ინფორმაციის მატარებელია, რომელსაც ყოველთვის არ გააჩნია ექსპლიციტური ფორმა, რასთან დაკაგშირებითაც დისკურსის დამუშავების პროცესში ინფერენცია ხდება განუყოფელი ნაწილი.

სინტაგმატიკის პოზიციიდან გამომდინარე, დისკურსის საბაზო ელემენტებად გამოდიან ერთეულები, რომლებიც მოცულობით აჭარბებენ ერთ წინადადებას. დისკურსში აბზაცულ-ფრაზული დანაწევრების პრინციპით რეალიზებული ეს ელემენტები შეესაბამებიან არგუმენტაციის ლოგიკური სქემის კომპონენტებს.

დისკურსიული ტექსტის ანალიზისადმი კოგნიტური მიდგომა, როგორც გადაწყვეტილებების მიღების კოგნიტური პროცესის ლინგვისტიკური რეალიზაცია, გულისხმობს, რომ თეზისი მოიცავს მოსაუბრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ასევე კომუნიკაციაში მის მიერ პარტნიორისთვის შეთავაზებულ ინფორმაციას.

გადაწყვეტილებას წარმოადგენს მენტალური მდგომარეობის ერთგვარი სუბიექტური შინაარსი, რომელიც ჩამოყალიბდა აზრის გამოთქმის პროცესში და ფლობს განუსაზღვრელობის და არასტატიკურობის მაღალ ხარისხს. განუსაზღვრელობის დაძლევის აუცილებლობა აიძულებს კოგნიტურ სისტემას ექცევს წონასწორობის აღდგენის ხერხი, კოგნიტური იძულების მექანიზმისთვის გეზის მისაცემად, რომელიც საფუძვლად უდევს დისკურსის აზრობრივ გაშლა-გაფართოებას.

კოგნიტური სისტემის სტაბილიზაციის ოპტიმალური ხერხით გადაჭრის პროცესში წარმოჩნდება არგუმენტაცია – „არგუმენტთა ზოგიერთი რგოლის (ძაფის) განხილვა და მიღება (...), რომელიმე გადაწყვეტილების სასარგებლობა“ [პოლიაკი. 1998].

დისკურსის თემატური სტრუქტურა შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას – თემატურად რელევანტურ მოსაზრებებს, რომლებიც წარმოდგენილია ფაქტებით, ციფრებით, მტკიცებებით და ა.შ., ამასთანავე განეკუთვნებიან უშუალოდ განხილვის საგანს. დისკურსის თემატური სტრუქტურა ემთხვევა არგუმენტაციის კომუნიკაციურ-ფუნქციონალურ იერარქიას. იგი შეიცავს ადრესანტის განზრახვებისა და მიზნების შესახებ ინფორმაციას.

ურთიერთობის პროცესში დისკურსი ითვალისწინებს კომუნიკანტის კოგნიტური სისტემების სტრუქტურის წინ წამოწევას ან გადადგილებას სიცარიელების შევსების და ზემოქმედების მოხდენის მიზნით. ახალი ცოდნის გამოყენების გარდა, შესაძლოა მოხდეს რეციპიენტის ცოდნის განდევნა და მისი შემდგომი შეცვლა ადრესანტისთვის სასურველი ცოდნით.

დისკურსის ეფექტურობას უზრუნველყოფს: ა) ადრესანტის მიერ მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკის ცოდნა, ბ) ცოდნა იმისა (უმეტესწილად ინტეიციურად), თუ როგორ ხდება დარწმუნების კოგნიტუ-

რი დამუშავება, გ) შემოსული მოცემულობების საფუძველზე დარწმუნების ფორმირება, ქველ და ახალ მრწამსს შორის კონფლიქტის შედეგები და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ დისკურსის ოპტიმიზაციას საფუძვლად უდევს გარკვეული კოგნიტური მექანიზმები, რომლებიც ამოქმედდნენ არგუმენტაციის პროცესში.

კოგნიტური მექანიზმები, რომლებიც მართავენ არგუმენტაციის პროცესს, შესაძლოა დაიყოს ორ კატეგორიად. შიდა კოგნიტური მექანიზმები, რომლებიც მოქმედებენ მენტალურ დონეზე და ხელს უწყობენ ერთიან არგუმენტაციულ სივრცეში იმ ელემენტების ინტერაციას, რომლებიც შეადგენენ დისკურსს; ხოლო გარე მექანიზმები უზრუნველყოფენ დაგეგმილ ზემოქმედებას რეციპიენტის კოგნიტურ სისტემაზე არგუმენტაციის საშუალებით.

## დასკვნა

კოგნიტური კუთხით დისკურსის ურველი ელემენტი წარმოადგენს რეალური სამყაროს ზოგიერთი ფრაგმენტის გამოსახულებას. მთლიანობაში დისკურსის მენტალური რეპრეზენტაცია მოიცავს ლოკალური მენტალური სივრცეების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ერთიან არგუმენტაციულ სივრცეს. ერთიანი არგუმენტაციული სივრცის აგება დაფუძნებულია კოგნიტური მექანიზმების მოქმედებებზე, ისინი შეიძლება მივაჭუთვნოთ ორ ჯგუფს: ასოციაციურს (რომელიც აკავშირებს მოსაუბრის ცნობიერებაში ცალკე არსებულ ორ მენტალურ სივრცეს) და დისოციაციურს (რომლის მოქმედება მიმართულია ორი მენტალური სივრცის შექმნისაკენ). ამ დაპირისპირებას შეუძლია გამოიწვიოს მოსაუბრისათვის სასურველი ეფექტი.

დისკურსის სტრუქტურული თავისებურებების აღწერა ეყრდნობა თანამედროვე კვლევებს, რომლებიც იძლევიან წარმოდ-

გენას არგუმენტაციაზე როგორც კოგნიტურ-დისკურსიულ მოვლენაზე, რომელიც მონაწილეობს რეციპიენტის სტრუქტურორებული სიტუაციური მოვლის აგებაში. რეციპიენტის სამყაროს სიტუაციური მოვლის შექმნა და შეცვლა მოითხოვს არგუმენტაციული ზემოქმედების გარე კოგნიტური მექანიზმების ჩართვას, რომლებიც გამოიყენება ინტუიციურად დისკურსიული სიტუაციის განუსაზღვრელობის პირობებში. ასეთ მექანიზმებს განეცემონებიან მოსაუბრისა და თანამოსაუბრის კოგნიტური სიმრავლეების შესატყვისობის, ადაპტიური და ადიტიური, გამოძევებისა და სუბსტიტუციის მექანიზმები.

დისკურსის კოგნიტური სიმრავლეების შესატყვისობის დადგენის მექანიზმი დაფუძნებულია მოსაუბრისა და მისი თანამოსაუბრის ცოდნისა და რწმენის სისტემის ერთობლიობაზე. ამ მექანიზმს არსებითად არაფერი შეაქვს ახალი რეციპიენტის კოგნიტურ ბაზაში, რომელსაც მოეთხოვება მხოლოდ შიდა თანხმობა და დაკავებული პიზიციის ან ცოდნის ერთობლიობის დამოწმება. ზოგჯერ სიახლედ შესაძლოა ჩაითვალოს ადრესანტის მიერ მოწოდებული რწმენა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კომუნიკანტებს უკავიათ განსახილველ საკითხზე ერთგვარი პოზიცია. მტკიცება იმ ფაქტისა, რომ კომუნიკანტებს გააჩნიათ ამოსავალი ცოდნის ერთნაირი ნაკრები და აქვთ ამა თუ იმ საკითხზე ახლო პოზიციები, შემდგომში ააღვილებს დისკურსის პროცესს. სწორედ ამიტომ შესატყვისობის დადგენის მექანიზმს ხშირად თან ახლავს ადაპტიური მექანიზმის ჩართვა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ მიღწეულ იქნას მოწინააღმდეგის მხრიდან მოწონება ან თანხმობა.

## ლიტერატურა

- Sperber D. and Wilson D. (1995). Relevance Theory: Communication and Cognition (2nd ed.). Cornwall: Blackwell

- O'Halloran K. (2003): Critical Discourse Analysis and Language Cognition. Edinburgh: Edinburgh University Press
- Widdowson H. G. (2004): Text, context, pretext: critical issues in discourse analysis. Oxford: Wiley-Blackwell
- Prince H. (2004): Discourse and language. Oxford: Wiley-Blackwell
- Tomasello M., Carpenter M., Call J., Behne T., & Moll H. (2005): Understanding and sharing intentions: the origins of cultural cognition. Behavioral and Brain Sciences, 28, 675-735
- Edwards D. (1997): Discourse and Cognition, London: Sage

## Cognitive Characteristics of Discourse

*Natia Kvaratskhelia*

*The University of Georgia*

*School of Humanities*

*77a Kostava street, 0171, Tbilisi, Georgia*

*Tel: 599 249 895*

*E-mail: [natiakvaratskhelia@hotmail.com](mailto:natiakvaratskhelia@hotmail.com)*

## Abstract

One of the principal characteristics of discourse represents its imminent verbalization. In connection with it, particular interest is aroused to the research of specifics of interactive action among discourse participants, and namely, to the study of the mechanisms which secure ascendancy of communicants over one another; surveying strategy of discourse argumentation which is frequently applied by communicants during the communication is also noteworthy. It herewith comprises the study of linguocognitive aspects of discourse argumentation.

The function of cognitive mechanisms of discourse ensures recipient's impact on the situational model and as a result it secures achieving positive

pragmatic effect or programmed outputs promoting coherent progress of communication process.

**Keywords:**

discourse, cognitive, argumentation, communication, communicant, information.

## **Когнитивные характеристики дискурса**

*Кварацхелия Натия Мамукаевна  
Грузинский университет  
Гуманитарная научная школа  
Ул. Костава 77а, 0171, Тбилиси, Грузия  
Тел: 599 249 895  
E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com*

### **Резюме**

Одним из главных характеристик дискурса представляется ее обязательная вербализация. В связи с этим особенный интерес представляет ис-

следование специфики интерактивного действия участников дискурса, а именно тех механизмов, которые обеспечивают взаимодействие друг на друга коммуникантов; следует отметить также исследование стратегии аргументации дискурса, к которому часто прибегают коммуниканты в ходе коммуникации, что также составляет лингво-когнитивный аспект изучения аргументации дискурса.

Функционирование когнитивных механизмов дискурса обеспечивает воздействие реципиента на ситуативную модель, и как следствие – положительный прагматический эффект, т.е. достижение запланированных результатов, которые способствуют последовательному развитию коммуникативного процесса.

### **Ключевые слова:**

дискурс, когнитивный, аргументация, коммуникация, коммуникант, информация.

# მხატვრული აზროვნების ფორმები გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში

მარინე ლომიძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. №8, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ: 599 211 427

E-mail: mari.lomidze@hotmail.com

## რეზიუმე

გაბრიელ გარსია მარკესი ბელეტრისტი  
და გაბრიელ გარსია მარკესი პუბლიცისტი  
ურთიერთგადაჯაჭვული და განუყოფელი ერ-  
თარსება. მარკესი ბეჭდურ ჟურნალისტიკას  
ლიტერატურულ ჟანრად განიხილავს. მისი  
აზრით, პრესის გაკეთილშობილება დასაშ-  
ვებია „პოეზიის გამჭვირვალე ჩანასახებით.“  
მარკესი საკუთარ თავს უპირატესად რეპორ-  
ტიორად მიიჩნევს, მაგრამ იგი პორტრეტების  
ძერვის ასევე უბადლო ოსტატიკა, რაშიც  
განსაკუთრებით მუდავნდება მწერლის საო-  
ცარი უნარი მხატვრული ხერხებით შეაფა-  
სოს და განაზოგადოს მოვლენები. დროის  
კვალობაზე სხვადასხვა ნიშნით აქტუალუ-  
რად წარმოჩენილი პიროვნებები მარკესის  
პუბლიცისტიკას თანადორულობის, არსე-  
ბული პრობლემების წვდომის ხარისხითაც  
გამოარჩევს. სტატიაში ყურადღებაა გამახ-  
ვილებული ცნობილ ადამიანთა პორტრე-  
ტების ახლებურად წარმოჩენის ასპექტებზე:  
ეპითეტი, ასოციაციური პარალელი, ლაგო-  
ნიურად გადმოცემა. ოსტატობის სწორედ ამ  
და სხვა საშუალებებმა გახადა გაბრიელ  
მარკესი გამორჩეულ პუბლიცისტად და გა-  
სული საუკუნის მხატვრული აზროვნების  
სიმბოლოდ.

საგანგმოვის უნდა გამოიყოს მარკესის  
პუბლიცისტური პორტრეტების სათაურები.  
ინფორმაციულობისა და ტექნიკის წარ-

მოჩენის თანხვედრა ერთდღოულად პუბლი-  
კაციებისადმი ინტერესის აღმდგრელიცად და  
განსახილველი საკითხის გააზრების სა-  
ფუძველიც: „შეუძგარი საყვარელი“, „ორი  
ჩავესის გამოცანა“, „ორი გადაჯაჭვული  
ბედი“, „პოტენციური პაპი“ და სხვა. საკი-  
თხი შესწავლილია ელეონორა კუჭავას  
მიერ ესპანურიდან ნათარგმნი გაბრიელ  
გარსია მარკესის პუბლიციების მიხედვით,  
რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა  
ქართულ პერიოდიკაში.

## საკვანძო სიტყვები:

ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პუბლიკაცია,  
პორტრეტი, მხატვრული აზროვნება, ჩანახატი,  
ნარკვევი.

## შესავალი

კომუნიკაციის პრობლემა თანამედროვე  
მსოფლიოსათვის განსაკუთრებული მნიშ-  
ვნელობისაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სპე-  
ციალისტთა შორის კომუნიკაციის თეორიი-  
სა და კვლევის ობიექტის შესახებ ერთიანი  
აზრი არ არსებობს. ცხადია, თუმცა კომუ-  
ნიკაცია ჟურნალისტური საქმიანობითაც  
ხორციელდება. მარკესის აზრით, „დღეს-  
დღეობით მას (ხელობას) არა ჟურნალისტი-  
კა, არამედ ხან კომუნიკაციათა მეცნიერება  
და ხანაც სოციალური კომუნიკაცია ჰქვია“.  
ჰქვმარიტად, პრესას სოციალურ კომუნიკა-  
ციათა ჭრილში განიხილავენ. მას მრავალი  
ფაქტორი აშორებს ლიტერატურისაგან, მა-  
გრამ მაინც ისმის კითხვა – არის თუ არა  
ჟურნალისტიკა ლიტერატურული ჟანრი? რა  
უფრო ჟურნალისტი – ხელობის მცოდნე  
თუ შემოქმედებითი უნარის მქონე. ამ კითხ-  
ვაზე კოლუმნის ერთ-ერთ უნივერსიტეტში  
დაბეჯითებით უპასუხეს: ჟურნალისტები არ  
არიან შემოქმედნი.

მარკესის მოსაზრებები კი აღნიშნულის საპირისპიროდ ეფუძნება რწმენას, რომ ბეჭდური ქურნალისტიკა ლიტერატურული ჟანრია. მისი თვალსაზრისით, „ქურნალისტიკა იმსახურებს არა მარტო ახალ გრამატიკას, პედაგოგიკასა და პროფესიულ ეთიკას, არამედ იმასაც, რომ აღიარებულ იქნას იმად, რაც ისედაც არის ოფიციალური აღიარების გარეშე: ასაკოვანი ლიტერატურული ჟანრი, როგორც პოეზია, დრამატურგია და სხვ. მარკესი პუბლიცისტი და მარკესი ბელეტრისტი ურთიერთგადაჯაჭვული და განუყოფელი ერთარსებაა. ეს აძლევს კოდეც მას უფლებას სხვათაგან განსხვავებით გამორჩეული პოზიცია ჰქონდეს ბეჭდური ქურნალისტიკისა და ლიტერატურის მიმართებაზე.

შესაძლოა, არ ვეთანხმებოდეთ დიდი კოლემბიელის მოსაზრებას ქურნალისტიკის ლიტერატურულ ჟანრად განხილვის გამო, მაგრამ ქურნალისტიკის აღორძინებისათვის, როგორც მარკესი წერს, „განათლების საწყისი სისტემისკენ დაბრუნება”, სადაც „ისტორიული გამოცდილების კრიტიკულ გააზრებას” ჯეროვანი ადგილი ეთმობა, უცილობლად გასაზიარებელი და გასათვალისწინებელი ფაქტორია.

მარკესისათვის ქურნალისტიკის ლიტერატურულ ჟანრად განხილვა არ ნიშნავს მის განვენებულ მხატვრულ განზოგადებას ან თუნდაც გადაჭარბებულ შემოქმედებითობას. პირიქით, მან ერთხელ და სამუდამოდ რეპორტაჟის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, „რადგან ის ყველაზე ბუნებრივი და სასარგებლოა. მას შეუძლია იყოს ზუსტად ისეთი კი არა, როგორც ცხოვრებაა, არამედ უფრო მეტიც: უპეტესი, ვიდრე ცხოვრება. შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც მოთხოვბა ან რომანი, ერთი მკაფიო და აშკარა განსხვავებით: რომანისა და მოთხოვბისათვის ნებადართულია უსაზღვრო ფანტაზია, ხოლო რეპორტაჟი უნდა იყოს მართალი უკანასკნელ მძიმედე, იმისდა მიუხედავად,

სჯერა თუ არა ვინმეს მომხდარისა.”

ცხოვრებისეული სინამდვილის წვდომაშ, როგორც ამბობენ, მაგიურმა რეალიზმა, გამორჩეულმა ლიტერატურულმა სტილმა და გადმოცემის უნარმა, პრესის პოეზიის გამჭვირვალე ჩანასახებით დასაშვები გაკეთილ-შობილების სურვილმა გახადა გაბრიელ მარკესი თავის დროზე პოპულარულ ქურნალისტად, ხოლო შემდგომში XX საუკუნის მხატვრული აზროვნების სიმბოლოდ.

## ძირითადი ნაწილი

მარკესის ქურნალისტური მოდეაწეობა მთავარ მიზნად ადამიანებზე და ადამიანებისათვის წერას ისახავს. მარკესი საკუთარ თავს უპირატესად რეპორტიორად მიიჩნევს. იგი მოქალაქეობრივი პოზიციით აფასებს არსებულ რეალობას, თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით უსწრებს წინ საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. მის რეპორტაჟულ ტექსტებში მოვლენის რეალური და საფუძვლიანი ცოდნა გაჯერებულია ლიტერატურული ფორმებითა და ხერხებით, მაგრამ მხატვრული სახეებით აზროვნება განსაკუთრებით იკვეთება მის მიერ შექმნილ პორტრეტებში.

დროის კვალობაზე სხვადასხვა ნიშნით აქტუალურად წარმოჩენილი პიროვნებები მარკესის პუბლიცისტიკას თანადროულობის, არსებული პრობლემების წვდომის ხარისხითაც გამოარჩევს. მისი პორტრეტული ნარკევებისა და ჩანახატების გმირები უმთავრესად ცნობილი პიროვნებებია მათვის დამახასიათებელი შუქ-ჩრდილებით. ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის, კარდინალ დარიო კასტრილიონ ოიოსის, აშშ-ის ექსპრეზიდენტის ბილ კლინტონის, ჩრდილოეთ-ატლანტიკური ბლოკის (ნატოს) ყოფილი გენერალური მდივნის ხავიერ სოლანა მადარიაგასა და გენერალ უელსი კ. კლარკის პორტრეტებში მათი ნაცნობი და უცნობი

შტრიხებია განფენილი.

მარკესის ნაწარმოებებში ნამდვილ ამბავს გამოგონილი ენაცვლება. რეალობის ასახვა და მისი საზოგადოებისათვის შეთავაზების თავისებური მანქრაა მარკესის, როგორც პუბლიცისტისა და ლიტერატორის, წარმატების მთავარი გასაღები. ნობელის პრემიაზე დაჯილდოვების ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ცალსახად აღნიშნა: „გეგდავ იმაზე ფიქრს, რომ ეს სინამდვილე საზღვრებს გასცდა და არა მხოლოდ ლიტერატურამ, არამედ ამანაც მიიპყრო შვედეთის აკადემიის უკრადღება. არა ლიტერატურულმა რეალობამ, არამედ იმან, რაც ჩვენს შორისაა... სწორედ ეს კვებავს ხარბ შემოქმედებით წყაროს, რომელიც სავსეა წუხილითა და მშვენიერებით. ამიტომაც ეს მოხერიალე და ნოსტალგიური კოლუმბიელი კიდევ ერთი შიფრია, რომელიც ბედისწერამ დაიმარტოვა... ყველა ჩვენი სასტიკა პრობლემა წარმოშვა ერთიანი აზრის ნაკლებობამ: დამაჯერებლობა შთაგებერა საკუთარი სიცოცხლისათვის.” სწორედ საკუთარი სიცოცხლისათვის დამაჯერებლობის შთაბერვის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ მარკესის მიერ მოვლენების, გარემოებების, ადამიანთა რეალურად აღქმის მიზნით მათი სატოვნად წარმოჩენა. ამ მხრივ გამორჩეულია პორტრეტული ჩანახატები. ამ ჟანრის გმირებთან პირადი ურთიერთობის გამოცდილება ოსტატს საშუალებას აძლევს კონკრეტული საბაბით წარმოაჩინოს თითოეული მათგანი, რითაც საზოგადოდ აქტუალური საკითხებისადმი საკუთარ დამოკიდებულებასაც გამოხატავს.

პუბლიკაციაში „ორი გადაჯაჭვული ბედი“ ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის (ნატო) გენერალური მდივნის ხავიერ სოლანასა და ჩრდილოამერიკელი გენერლის უელსი კ. კლარკის ნატოში გვერდიგვერდ მუშაობა მარკესმა მიიჩნია მისტიკურ დამთხვევად, იმად, რაც „რომანისტებს ძილს უფრთხობს“.

XX საუკუნის მიწურულს იუგოსლავიაში

მიმდინარე ამბები და კოსოვოს დაბომბვის ექო დღემდე აქტუალური თემაა. სწორედ მადრიდელი ხავიერ სოლანა მადარიაგა და უელსი კ. კლარკი იყო ის ორი პიროვნება, რომლებმაც 1999 წლის 24 მარტს „განახორციელეს ბარბაროსული დავალება—კოსოვოს დაბომბვა“.

ხავიერ სოლანასთან ოცწლიანმა მეგობრობამ და გენერალ კლარკთან უჩვეულო, განსაცვიფრებელმა ეპიზოდურმა შეხვედრამ მისცა ბიძგი მარკესს მოკლე ფორმატის პუბლიცისტურ წერილში მსოფლიო გულისტყვილი განსაკუთრებული ხედვით წარმოებინა. ჟურნალისტი მარკესი აწარმოებს ერთგვარ მოკლე პიროვნულ კალეგას, ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რამ განაპირობა ამ ორი განსხვავებული ცხოვრების წესის ადამიანის ქმედება. მარკესი ხ. სოლანას პიროვნებას რამდენიმე შტრიხით — გარეგნობისა და ხასიათის თვისებების აღწერით — შთამბეჭდავს ხდის: „არა წვერიანი, არამედ უძილობისა და მოუცლელობის გამო ცუდად გაპარსული ინტელექტუალი, რომელიც საფუძვლიანად ფლობს საუბრის მაგიას და კარგად, ამასთან სერიოზულად აქვს წაკითხული ყველა ის წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო და ბევრი ისეთიც, რომელთა წაკითხვაც არა ლირი. არა მგონია, რომ არ დაეწეროს სასიყვარულო ლექსები, თუმცა ეს არასოდეს გაუმჯდავნებია. იგი დამსახურებულად სარგებლობს ისეთი ადამიანის საკვეუნო დიდებით, უხვად რომ არიგებს ლიმილსა და ამბორს, და იმ ზომამდე, რომ ერთმა მეგობარმა იხუმრა კიდეც: სოლანას შეუძლია ელექტრობომსაც კი მოეხვიოს. მაგრამ ძალზე იშვიათად, როდესაც ყურადღებას ადუნებს, მისი თვალებიდან მარტობისადმი მიღრებილი სევდინი პოეტის მზერა გამოსჭვივის.“ სრულიად ლოგიკური და ამავდროულად ადამიანურია ავტორისეული დასკვნა: „ჩვეულებრივმა სამოქალაქო პირმა, რომელსაც თითქოსდა ბუზის მოკვლაც კი არ შეეძლო, უყოფმანოდ განახორციელა

ამ საუკუნის ყველაზე საბედისწერო ბრძანება. ერთადერთი, რაც მის მეგობრებს გვანუგეშებს, არის რწმენა, რომ ეს ვანდალური აქტი იყო არა მისი გულის კარნახი, არამედ მისი უბედობის ახვრობა.”

გენერალ კლარკთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებას მწერალი მკითხველისათვის დაუგიწყარს ხდის: „ფილმებიდან გადმოსული კოლონიური ეპოქის კომანდანტების ტროპიკულ ფორმაში გამოწყობილი, და ნაირ-ნაირი დელიკატესებითა და სასმელით დახუნძლული მაგიდის კიდესთან იდგა. იფიქრებდით, ის კი არ არის, ბატონი პერსონა, არამედ რობერტ რედფორდია გენერალ კლარკის ჩინებულად შესრულებულ როლშით. მისი სურვილი, ესაუბრა ჩვენთან საკაცობრიო თემებზეც, ოქსფორდული რიტორიკითა და სკარლეტ ო'ჰარას შვილთაშვილებისათვის ნიშანდობლივი ლალი მანერებით გამოიხატა”.

ორი პერსონის განსხვავებულობის ხაზგასმა ოსტატურადაა შეჯერებული პუბლიკაციის ფინალში, რომელიც სათაურსაც უფრო გასაგებს ხდის მკითხველისათვის: „დღეს უკვე ნათელია, რომ კოსოვო არ არის მხოლოდ ქვეყნის რადაც ნაწილი, იგი ნერგული ცენტრია და მას, როგორც მსხვერპლის აგრესიულობას, აქვს გაუთვალისწინებელი და საშინელი ექსანსიის შესაძლებლობანი. ეს სახიფათო გზავნილია განათლებული ადამიანისათვის, რომელსაც არასოდეს უოცნებია სამხედრო კარიერაზე, და იმ სამხედროსოფისაც, რომელსაც უნდა, რომ განათლებული ადამიანის სახელი დაიმკვიდროს. საშინელმა რისკმა, შესაძლოა მესამე მსოფლიო ომის მაუწყებელნი გავხდეთო, გადააჯაჭვა ორივეს ბედი”.

მარკესი პირვენების სრულყოფილების ლაკონიურად გადმოცემის უბადლო ოსტატია. პუბლიკაციაში „შეუმდგარი საყვარელი” ბილ კლინტონის პირვნული ხიბლი სრულადაა გადმოცემული რამდენიმე წინადადებით: „იმ საღამოს პრეზიდენტის

გუნება-განწყობა გარეგნობის შესაფერისი იყო: შეკრეჭილი თმა ჯაგრისივით აეფოფრა, გარუჯული კანი უბზინავდა, ხმელეთზე გადმოსული მეზღვაურის თავხედური ჯანი იგრძნობოდა; ეცვა ახალგაზრდული მაისური, რომელსაც გულზე გადახლართული ასოები ჰქონდა ამოტვიფრული. 49 წლის კლინტონი სამოცდარვიანელთა ღირსეული წარმომადგენელია. მარისუანაც მოუწევია, ბითლების სიმღერებიც უმღერია და ვიგზამის ომიც გაუარობებსებია ქუჩაში.” ამ ჩანახატში, ისევე როგორც სხვაგან, მარკესი ასოციაციურ პარალელებს მიმართავს, რითაც მსგავსებითი შედარება მკითხველის წარმოსახვას ამძაფრებს და აგტორიც სასურველ შედეგს აღწევს – აჩვენოს ამერიკის პირველი პოლიტიკის ადამიანური სახე, შეგნებული და შეუგნებელი სისუსტეები.

ლიტერატურულ-ისტორიული პარალელები უფრო შთამბეჭდავს ხდის საქვეყნოდ ცნობილ ამბებს: „მხატვრული ლიტერატურა გამოიგონა იონამ; ეს მოხდა მაშინ, როდესაც მან დაარწმუნა თავისი ცოლი, სამი დღე შინ იმიტომ არ მოვედი, რომ ვეშაპმა გადამყლაპაო. ამ ატავისტური ხრისტო შეგულიანებულმა კლინტონმა სასამართლოზე უარყო რაიმე სექსუალური კავშირი მონიკა ლევინსკისთან.”

თეორი სახლის გავლენიანი დისახლისის, ჰილარი კლინტონის როლი მეუღლის იმიჯის შექმნასა და ამერიკის პოლიტიკური კურსის წარმართვაში ფართოდაა ცნობილი. იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მეუღლის „მთავარი დამცველის” სტატუსით სარგებლობდა მონიკა ლევინსკისთან სკანდალურ ისტორიაში დაკავებული პოზიციის გამო. ქალბატონმა კლინტონმა ატეხილი აურზაური გმირულად გადაიტანა, რითაც მეუღლეს თანამდებობაც შეუნარჩუნა და საკუთარი კარიერის შესაქმნელადაც გაიკაფა გზა. ეს ფაქტორი მარკესმა ერთ წინადადებაში ჩატია: „ბოლოსდაბოლოს, ეს პირადი დრამა მხოლოდ მისი და ჰილარის

საშინაო საქმეა. ამ უკანასკნელმა კი მთელი მსოფლიოს წინაშე ჰომერული დირსებით დაიცვა მეუღლე”.

განსაკუთრებული დანიშნულებისაა ტექსტში მოყვანილი ეპითეტები, შედარებები, რომლებიც ნათლად, ცალსახად გამოხატავს მარკესის პოზიციას. მაგალითად, ქონიკული დაღლილობის მეტალის ცვეთასთან გაიგივება მკითხველს ომგამოვლილი პრეზიდენტის სულიერ მდგომარეობაზე მიანიშნებს: „ძალაგამოცლილი და გაუბედავი, მხილებული, რომელიც პროფესიული დომილითაც ვედარ მალავდა ქონიკულ დაღლილობას“; „მითიური ინსტანცია“, „ბუნების მასხრად აგდება“, „აგრიაში მყოფი ჩვენი საუკუნის დიდი მწერალი“ და სხვა.

მარკესი მიმოიხილავს ისეთ ასპექტებს, რომლებიც გარემოებათა მოვლენის სოციალურ არსეს მკითხველისათვის გასაგებს ხდის. ამასთან იგი ამთლიანებს მოვლენას და საერთო სურათს წარმოსახავს. საკითხს საგნობრივად, რეალისტურად განიხილავს, მიმოიხილავს შექმნილ მდგომარეობას.

პუბლიცისტური ანალიზის სიღრმეს მოვლენის რეალური და საფუძვლიანი ცოდნა განსაზღვრავს. ასეა პრეზიდენტ უგო ჩავესისადმი მიძღვნილი პორტრეტულ ჩანახატშიც: „ორი ჩავესის გამოცანა“. მარკესი თანმიმდევრულად აწარმოებს კვლევას, ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვაზე, რამ განაპირობა აღნიშნული მდგომარეობა და საკითხს შემდეგნაირად სვამს: არის თუ არა პრეზიდენტი ის პიროვნება, როგორსაც მას იცნობს თავისი ხალხი და მსოფლიო. პუბლიცისტმა ფაქტებისადმი დამახასიათებელი კავშირების აღმოჩენა მოახერხა, მათ არსეს ჩაწვდა და ლოგიკურად მივიდა მთავარ მიზეზამდე. საფუძვლიან ფაქტებზე დაყრდნობით მარკესმა ანალიზი სწორი მიმართულებით წარმართა და თავისი მოსაზრება პუბლიკაციის ბოლოს განზოგადების ფორმით წარმოადგინა: „იგი უახლოესი მეგობრებისა და ბრჭყვიალა ეპოლეტები-

ანი სამხედროების თანხლებით წავიდა. მე კი, შემძრა აზრმა, რომ ვიმგზავრე და დიდი სიამოვნებითაც ვესაუბრე ორ საპირისპირო ადამიანს. ერთს უმოწყალო ბედი აძლევდა შანსს გადაერჩინა თავისი ქვეყანა. მეორე კი, –მეოცნებე, –შესაძლოა შევიდეს ისტორიაში, როგორც კიდევ ერთი დესპოტი“.

## დასკვნა

ამრიგად, გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტიკას ახასიათებს მხატვრული აზროვნების მრავალგვარი ფორმა და ხერხი. წარმოდგენილ სტატიაში ყურადღება გამახევილებული ცნობილ ადამიანთა პორტრეტების ახლებურად წარმოჩენის ასპექტებზე: ეპითეტი, ასოციაციური პარალელი, პუბლიკაციის სათაური, შეფასების ლაპონიური გადმოცემა. ოსტატობის სწორედ ამ და სხვა საშუალებებმა გახადა გაბრიელ მარკესი გამორჩეულ პუბლიცისტად და გასული საუკუნის მხატვრული აზროვნების სიმბოლოდ.

## ლიტერატურა

1. მარკესი გ. გ. (2008): ორი გადაჯაჭვული ბედი. „ჩვენი მწერლობა”, თებერვალი
2. მარკესი გ. გ. (2007): ორი ჩავესის გამოცანა. „ჩვენი მწერლობა”, 6 ივლისი
3. მარკესი გ. გ. (2008): შეუმდგარი საყვარელი. „ჩვენი მწერლობა”, ივლისი
4. მარკესი გ. გ. (2009): ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე. „ჩვენი მწერლობა”, 6 თებერვალი
5. მარკესი გ. გ. (2005): რომანი რომანს მიღმა. „ლიტერატურა და ხელოვნება”, 2 აპრილი – 15 აპრილი
6. მარკესი გ. გ. (2005): პოტენციური პაპი. გაზეთი „24 სათი“, №83 (943), 13 აპრილი

# **Forms of Artistic Thinking in the Gabriel Garcia Marcus's Publicism**

*Marina Lomidze*

*Tbilisi State University*

*Faculty of social and political science*

*8, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 599 211 427*

*E-mail: mari.lomidze@hotmail.com*

## **Abstract**

Gabriel Garcia Marcus as the novelist and Gabriel Garcia Marcus as the publicist, the meaning of concept interconnected and in the essence not divided. He is greatest prosaic and master of the artistic word and he reviews journalism as the form of literary genre. The elevation of press is permitted from his point of view because here is obvious fact "the rudiment of poetic transparency". Marcus realizes himself as a reporter, as the best master of generalizations, in what his outstanding manifesting as a writer gift. Creative experience of Marcus as a publicist exactly as prosiest had been enriched in the high degree of the understanding of human nature. In the article special attention is paid to the portraits of some talent personalities, some aspects of the publicist form of the account of the material: epithets, association, parallel, laconic explanations. Especially this and other qualities of Columbian master views made Gabriel Marcus's as a famous publicist and as a symbol of the past century.

Separately should be isolated the titles of the publicistic portraits of Marcus. Informativeness and the idea of the associated tendencies simultaneously interest in the publications, the impelling to the study of problems comprehensions: "Cancelled loved", "the riddle of two Chaves's", "Two interlaced fates", "Potential Pope".

This research was accomplished on the works of Gabriel Garcia Marcus's in the translations from Spanish language by Eleonor Kuchava, which had

been published in a different time in the Georgian periodicals.

## **Keywords:**

journalist, publicist, publication, portraits, artistic thinking, sketching, essay.

# **Формы художественного мышления в публицистике Габриэля Гарсия Маркеса**

*Ломидзе Маринэ Джудуевна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет социально-политических наук*

*Просп. И. Чавчадзе №8, Тбилиси, Грузия*

*Tel.: 599 211 427*

*E-mail: mari.lomidze@hotmail.com*

## **Резюме**

Габриэль Гарсия Маркес Беллетрист и Габриэль Гарсия Маркес публицист – понятия взаимосвязанные и по сути неразделимые. В своем творчестве прозаик и мастер художественного слова рассматривает журналистику как форму литературного жанра. С его точки зрения повышенность прессы допустима, поскольку здесь очевиден «зачаток поэтической прозрачности». Маркес осознает себя, прежде всего, репортером, однако он предстает перед нами и несравненным творцом портрета, безупречным мастером обобщений, в чем проявляется его незаурядное писательское дарование. Творческий опыт Маркеса – публициста, ровно как прозаика, в соответствии со временем обогащался высокой степенью постижения человеческой природы. В статье особое внимание уделяется портретам выдающихся личностей, по-новому рассматриваются некоторые аспекты публицистической формы изложения материала: эпитеты, ассоциа-

